

გზამკვლევი

ტოვნის კლუბი

ჰაერიბრა L
გამომცემლობა

მასწავლებელთა
პროფესიული
განვითარების
ერთიანული
ცენტრი

პალიტრა L
გამომცემლობა

მასწავლებელთა
პროფესიული
განვითარების
ეროვნული
ცენტრი

ლიგნის
კ ლ უ ბ ი

გ ზ ა მ კ ვ ლ ე ვ ი

მასწავლებელთა
პროფესიული განვითარების
ეროვნული ცენტრი
2022

გზამკვლევზე მუშაობდნენ:
ანი კუდუხაშვილი, გვანცა ხორგუაშვილი

© 2022, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი

წიგნის კლუბი

სწავლასთან დაკავშირებული გამოწვევებიდან გამომდინარე, რაც პანდემიის პირობებში წარმოიშვა, წიგნიერების კლუბი შესაძლებლობას მისცემს მოსწავლეებს, ხელახლა დაამყარონ კომუნიკაცია სოციუმთან ავთენტური გზებით.

წიგნის კლუბი წარმოადგენს მოსწავლეებისგან დაკომპლექტებულ ერთგვარ მკითხველთა ჯგუფს, რომლის ყველა წევრი ერთსა და იმავე წიგნს კითხულობს, ხოლო კონკრეტულ დროს, წაკითხულის შესაჯამებლად, განსახილველად და სადისკუსიოდ თუ სხვა აქტივობის განსახორციელებლად, ერთად იკრიბება. აღსანიშნავია, რომ წიგნის კლუბი წაკითხულის დეტალურ და სიღრმისეულ განხილვას მოითხოვს, ეს განხილვა კი, შესაძლოა, ინიცირებული იყოს ხელმძღვანელის ან მასწავლებლის მიერ, თუმცა გასათვალისწინებელია, რომ დისკუსიას თვითონ მოსწავლეები წარმართავენ.

ავტონომიურობასა და არჩევანზე დაფუძნებულ წიგნის კლუბებს შეუძლიათ, მოსწავლეებს სკოლაში სწავლასა და არაფორმალური განათლების მიღებაში დაეხმარონ; ამასთან, ცნობისმოყვარეობის გრძნობა გაუმძაფრონ, რათა კითხვის დრო ყოველდღიურ რუტინას შეუსაბამონ, ამით კი მნიშვნელოვანი კავშირი დაამყარონ წიგნთან, რომლის კითხვის დროსაც სიამოვნებას მიიღებენ.

წიგნის კლუბის გზამკვლევი, თავდაპირველად, ყურადღებას ამახვილებს აქტივობის ძირითად პრინციპებზე. სასურველია, ეს კონკრეტული პრინციპები მანამდე იყოს გათვალისწინებული წიგნის კლუბის ხელმძღვანელის მიერ, სანამ იგი კლუბის ჩამოყალიბებას დაიწყებს. გარდა ამისა, გზამკვლევის ყოველი თავის ბოლოს შეხვდებით თემატურ კითხვებს, რომლებიც აუცილებლად უნდა დაუსვათ საკუთარ თავს.

წიგნის კლუბი ეფექტურია არა მხოლოდ მოსწავლეთა კითხვის უნარ-ჩვევების განვითარებისთვის, არამედ მასწავლებელთა პროფესიული განვითა-

რებისთვისაც; კერძოდ, ის საშუალებას მისცემს მათ, განაახლონ თავიანთი დამოკიდებულება წიგნთან, გაიგონ უფრო მეტი და მიიღონ ახალი ინფორმაცია მოსწავლეებთან უკუკავშირის წარმოების ფონზე.

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების
ეროვნული ცენტრი

სარჩევი

	წიგნის კლუბი: ძირითადი პრინციპები	9
1	ნაწილი	11
	გააღვივეთ მოსწავლეებში აღტაცება	11
	ინფორმაციის გაზიარება	12
2	ნაწილი	14
	დაგეგმეთ პირველი შეხვედრა: ინტერიერი, წესები და განრიგი	14
3	ნაწილი	17
	წაკითხულის გააზრება	17
	განიხილეთ სოციალური საკითხები	17
	წიგნის გარშემო სკოლაში დისკუსიები მოაწყვეთ	18
	გამოაქვეყნეთ წიგნის მიმოხილვები	18
4	ნაწილი	20
	თანმიმდევრობა სწავლების დროს	20
	ტექსტისა და ჟანრის გაცნობა, ტექსტის ანალიზი, ენის თავისებურებები და ორგანიზება	20
	იდეების მოძიება	21
	წერის დაგეგმვა და პირველი ვარიანტის შექმნა	21
	წერა და შესწორება	21
5	ნაწილი	22
	იმიტირებული სასამართლო პროცესები	22
	რა? სად? როდის?	23

სიტყვების დაფა 24
თავები მაღლა 24
სოკრატეს ბურთი 25
ვიზუალური წიგნიერება 26
კომიქსები 26
კალმის მეგობარი 27
გამოიცანი წიგნი 28
თეატრი 29
რჩევები 29

დამხმარე მასალები 31

დამხმარე კითხვები 32

წიგნების სია 33
შერჩეული წიგნები 38
მოსწავლის შესახებ ინფორმაცია 39

წიგნის კლუბი: ძირითადი პრინციპები

წიგნის კლუბი იძლევა მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლისა და სწავლების შესაძლებლობებს. მას შეუძლია, გააძლიეროს საკლასო საზოგადოება, შეამციროს სოციალური იზოლაცია და გაზარდოს მოსწავლეების მოტივაცია – მოუსმინონ, წაახალისონ და მხარი დაუჭირონ ერთმანეთს.

რამდენიმე რეკომენდაცია წიგნის კლუბის შესაქმნელად:

1. **მიეცით მოსწავლეებს არჩევანი:** მაქსიმალურად მიეცით მოსწავლეებს საშუალება, თქვენი სკოლის რესურსების გათვალისწინებით, აირჩიონ, რას წაიკითხავენ და რაზე ისაუბრებენ წიგნის კლუბის შეხვედრების დროს. არჩევანის საშუალება მნიშვნელოვნად ზრდის კითხვის მოტივაციასა და ინტერესს.
2. **დაისახეთ ყოველდღიური მიზნები:** წაახალისეთ მოსწავლეები, დასახონ მიზანი, წიგნის კლუბიდან გამომდინარე, წაიკითხონ შერჩეული წიგნი ყოველდღე 15-30 წუთის განმავლობაში. თუ ეს ყოველივე მათთვის რთული აღმოჩნდება, შეუძლიათ დაიწყონ 10 წუთით და შეეცადონ, ყოველ კვირას კითხვის დრო ოდნავ გაზარდონ. ამავე დროს, უმჯობესია, რომ მოსწავლეებმა თავდაპირველად მცირე ზომის ნაწარმოებები შეარჩიონ, რათა კითხვის პროცესს უკეთ შეეჩვივნენ.
3. **შეეცადეთ, ჯგუფი გევრი ადამიანისგან არ შედგებოდეს:** შექმენით 5-10 მოსწავლისგან შემდგარი ჯგუფები. მცირე ზომის ჯგუფები თითოეულ მოსწავლეს დისკუსიებში აქტიურად ჩართვის საშუალებას აძლევს. სასურველია, რომ რამდენიმე ჯგუფმა ერთი და იგივე წიგნი წაიკითხოს. ჯგუფების მიერ აზრის ერთმანეთისთვის გაზიარებაც წიგნის კლუბების მნიშვნელოვანი ნაწილია. თუ მოსწავლეებს წიგნის საკმარისი რაოდენობა არ აქვთ, შესაძლებელია მისი ქსეროასლის თავისუფლად გამოყენებაც.

4. **დაგეგმეთ რეგულარული შეხვედრები კლუბებისთვის:** სასურველია, მოსწავლეები კვირაში 1-2-ჯერ 20-30 წუთით შეიკრიბონ, 4-5 კვირის განმავლობაში, ერთსა და იმავე დროს. წიგნის კლუბისთვის სივრცის მოწყობას ბევრი რესურსი არ სჭირდება. საკმარისია, უბრალო, კომფორტული გარემოს შექმნა, სადაც მოსწავლეები თავს მყუდროდ იგრძნობენ; მისი გადატანა საკლასო ოთახისგან განსხვავებულ გარემოშიცაა შესაძლებელი, იქნება ეს ბიბლიოთეკა, სააქტო დარბაზი თუ სკოლის ეზო.
5. **უპირატესობა მიანიჭეთ წიგნებთან და ერთმანეთთან ურთიერთობას:** წიგნის კლუბების მიზანი კითხვის სიყვარულისა და ლიტერატურის მიმართ ინტერესის გაღვივებაა. კლუბის წევრები ვალდებულნი არ არიან, აწარმოონ ყოველდღიური ჟურნალი ან აკეთონ სისტემატური ჩანაწერები წაკითხულის შესახებ, თუმცა, პროცესის წარმატებით მართვისთვის შეიძლება ეს სასურველი იყოს.

წიგნის კლუბის ხელმძღვანელისთვის გასათვალისწინებელი საკითხები:

- რამდენ მოსწავლეს აქვს სასურველი წიგნი სახლსა თუ კლასში წასაკითხად?
- რამდენ მოსწავლეს აქვს საჯარო ბიბლიოთეკასთან წვდომის საშუალება?
- რა ფორმატით მსურს, რომ იკითხონ წიგნები ჩემმა მოსწავლეებმა – ბეჭდური თუ ელექტრონული? თუ ორივე სახით? აქვთ თუ არა ჩემს მოსწავლეებს წვდომა ტექნოლოგიაზე – სახლსა თუ სკოლაში – რაც მათ ელექტრონულ წიგნებზე წვდომის საშუალებას მისცემს?
- რამდენ მოსწავლეს ესაჭიროება რესურსებით დახმარება? (აუდიოწიგნები, გადიდებული შრიფტის მქონე წიგნები, ქსეროასლები, კითხვის დროის გახანგრძლივება)? როგორ შემიძლია დავრწმუნდე, რომ ისინი ამ რესურსებს უპრობლემოდ მიიღებენ?
- სკოლაში ვისთან შემიძლია ვითანამშრომლო ამ საკითხების გადასაჭრელად (მაგ. კოლეგა პედაგოგთან, რესურსებზე პასუხისმგებელ სპეციალისტთან, სკოლისა თუ ადგილობრივი თემის ბიბლიოთეკართან, ადმინისტრაციასთან)?

1

გაალვიავეთ მოსწავლეებში აღტაცება

დაიწყეთ წიგნის კლუბის შეხვედრები მოსწავლეებისთვის თქვენ მიერ შედგენილი წიგნების ჩამონათვალის მიწოდებით. შესაძლოა, მნიშვნელოვანი იყოს – განსაკუთრებით მოსწავლეებისთვის, რომლებიც არ არიან რეგულარული მკითხველები – სათაურების წინასწარ გადახედვა, რათა მათ ინფორმაციის მიღების შემდგომ შეძლონ არჩევანის გაკეთება. თუმცა, გაითვალისწინეთ, რომ ზოგჯერ მოსწავლეები ასაკის შეუსაბამო რთულ წიგნებსაც ირჩევენ; სწორედ ამიტომ, თქვენი ამოცანაა, მოსწავლეებს წიგნის შერჩევის პროცესში დაეხმაროთ; წარუდგინოთ ისინი, რაც შეიძლება გასაგებად და მოკლედ და, ჯამში, გაუადვილოთ შერჩევის პროცესი. ასევე, კლასის წინაშე შეგიძლიათ წიგნებიდან მცირე ამონარიდების ამოკითხვაც, რათა მოსწავლეები ასეც დააინტერესოთ. თუ გაგაჩნიათ რესურსი, ლეპტოპით ან პროექტორით ამონარიდები და ფოტო/ვიდეო/აუდიო მასალა ანახეთ მოსწავლეებს. ვიზუალური მასალის გადახედვისას, მოზარდებს უფრო დიდი ინტერესი უჩ-

ნდებათ კონკრეტული საკითხისადმი, ამით კი მოტივაციაც უმძაფრდებათ წიგნის წასაკითხად. ასეთი სტრატეგიები და რესურსები დაგეხმარებათ მოსწავლეებში წიგნის კლუბებისადმი მეტი ინტერესის გაჩენაში. მას შემდეგ, რაც მოსწავლეები გაეცნობიან სათაურებს, მათ თავად შეეძლებათ ჯგუფების არჩევა, ან თქვენვე შეგიძლიათ 5-10 მოსწავლისგან შემდგარი ჯგუფების ჩამოყალიბება, რომლებიც სადისკუსიოდ კვირაში 1-2-ჯერ შეხვდებიან ერთმანეთს 20-30 წუთის განმავლობაში.

თუ ცალკეული წიგნის სათაურების მიხედვით ჯგუფების ორგანიზება ძალიან რთული იქნება, შეგიძლიათ მიმართოთ:

- კონკრეტული ჟანრის წიგნის კლუბებს (მხატვრული, სამეცნიერო, არამხატვრული, ისტორიული, ფანტასტიკა და ა.შ.);
- საავტორო წიგნების კლუბებს (სტივენ კინგი, ვირჯინია ვულფი, ჯონ გრინი, ჯორჯ ორუელი, ჯეინ ოსტინი, ქეთრინ სთოქეთი, ჯერომ სელინჯერი, ჯონ რონალდ რუელ ტოლკინი და ა.შ.);
- თემატურ წიგნის კლუბებს (დაბრკოლებების გადალახვა, იმიგრაცია, რეალისტური მხატვრული ლიტერატურა).

მოსწავლეებთან ერთად წინასწარ შეარჩიეთ, რომელი ჟანრის, ავტორისა თუ თემატიკის წიგნს წაიკითხავენ ისინი.

ინფორმაციის გაზიარება

წიგნის კითხვის მთავარი მიზანი სიამოვნებით ინფორმაციის მიღება, კრიტიკული აზროვნების განვითარება და ახლის შემეცნებაა. მნიშვნელოვანია, რომ მოსწავლეებმა პასუხისმგებლობა იგრძნონ კითხვასა და ჯგუფურ დისკუსიებში ჩართულობაზე; უნდა იცოდნენ, როგორ მოეპყრონ წიგნებს, როგორ მოუფრთხილდნენ მათ, ვინაიდან წიგნებს სხვა ადამიანებიც გამოიყენებენ. ამიტომ, ჩამოაყალიბეთ და ასწავლეთ მათ წიგნებით სარგებლობის წესები.

აქვე საყურადღებოა, რომ ზოგჯერ მოსწავლეები ნაკლებად კონცენტრირებულნი ხდებიან თავიანთ ამოცანაზე; ამგვარად, სასურველია მოსწავლეებზე მუდმივი დაკვირვება – წიგნის კლუბების მონიტორინგი. ხანდახან არათუ

კარგი, არამედ აუცილებელიც კია კითხვის პროცესის რაიმე სხვა აქტივობით ჩანაცვლება, რათა მოსწავლეებმა ზედმეტად არ მოიწყინონ და მოტივაცია ან ინტერესი არ დაკარგონ კლუბების მიმართ.

განიხილეთ შემდეგი სიტუაციები – როგორ შეუძლიათ მოსწავლეებს გაგიზიარონ თავიანთი გამოცდილება:

- რა იყო წიგნის კლუბში მთავარი მოვლენა ამ კვირაში? ეს შეიძლება იყოს, რაც წაიკითხეთ ან კონკრეტული ამბავი, რომელიც შეხვედრებისას გადაგხდათ.
- ამ კვირაში რა იყო თქვენთვის გამოწვევა? რა ნაბიჯების გადადგმა შეგიძლიათ ამ გამოწვევის დასაძლევად მომავალი კვირისთვის? როგორ შეუძლია თქვენს მასწავლებელს დაგეხმაროთ?
- რომელია თქვენი საყვარელი ადგილი შერჩეული წიგნის წასაკითხად? რა ართულებს თქვენთვის წიგნის კითხვას? რა ნაბიჯების გადადგმა შეგიძლიათ ამ გამოწვევის დასაძლევად?
- რისი წაკითხვა გსურთ? როგორ გაიგეთ ამ წიგნის შესახებ?
- ასევე, შეიძლება წიგნების შესახებ ბლოგების შექმნა: ბლოგები საშუალებას აძლევს მოსწავლეებს, გამოხატონ და გააზიარონ თავიანთი გრძნობები წაკითხული წიგნების შესახებ და ამასთან, იყვნენ შემოქმედებითები. შეუძლიათ, ბლოგებს თან დაურთონ კონკრეტული მასალები, როგორიცაა ფოტო-ვიდეო მასალა და სტატიები. ბლოგების შექმნა და გაზიარება შეიძლება ისეთ პლატფორმებზე, როგორიცაა Kidblog ან Edublogs.

წიგნის კლუბის ხელმძღვანელისთვის გასათვალისწინებელი საკითხები:

- როგორ ესადაგება ჩემ მიერ შერჩეული წიგნები მოსწავლეების იდენტობასა და გამოცდილებას?
- ჩემს რომელ მოსწავლეს დასჭირდება დამატებითი მხარდაჭერა წიგნის შერჩევისას?
- როგორ დავნერგავ პასუხისმგებლობის გრძნობას მოსწავლეებში უკეთესი გამოცდილების მისაღებად?

2

დაგეგმეთ პირველი შეხვედრა: ინტერიერი, წესები და განრიგი

მას შემდეგ, რაც მოსწავლეები თავიანთ წიგნის კლუბებში განლაგდებიან, თავად მოუწევთ პასუხისმგებლობის აღება მიმდინარე პროცესზე. როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, წიგნის კლუბისათვის აუცილებელია კომფორტული გარემოს შექმნა, რასაც დიდი რესურსი სულაც არ სჭირდება. სასურველია, რომ წიგნის კლუბისათვის ერთგვარი წიგნის კუთხე მოეწყოს, სადაც წიგნები სირთულის დონისა და ჟანრის მიხედვით განთავსდება, ვინაიდან მნიშვნელოვანია, მოსწავლეებმა ასაკის შესაბამისი სირთულის წიგნები იკითხონ, რათა მათი მოტივაცია საგრძნობლად არ შემცირდეს სხვა მოსწავლეებთან შედარებით. როგორც უკვე იცით, სწორედ მოტივაციისა და ინტერესის გაღვივებაა წიგნის კლუბის მთავარი იდეაც, გარდა უნარ-ჩვევების განვითარებისა. წიგნებთან ერთად, ასევე, კარგი იქნებოდა გამოფენის მოწყობაც – კედლებზე ილუსტრაციების, წიგნის შესახებ შექმნილი პოსტერების, ნამუშევრების, მოსწავლეების მიერ გადაღებული ფოტოების გაკვრა. გაითვალისწინეთ, რომ წიგნის კუთხის მოწყობაში მოსწავლეებიც უნდა ჩართოთ; გამოფენა მოსწავლეებისთვის უფრო მყუდრო და თანამედროვე აურას შექმნის. თუმცა, ისიც იქონიეთ მხედველობაში, რომ გამოფენაცა და, დამატებით, წიგნების მარაგიც მუდმივად უნდა განახლდეს, რათა მოწყენილობამ არ დაისადგუროს, წიგნის კლუბი მრავალფეროვანი იყოს და სამუშაო სივრცეში სიახლის შეგრძნება ყოველთვის სუფევდეს.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ასპექტი ინტერიერზე საუბრისას – ესაა, სამუშაო სივრცეში მოსწავლეებისთვის გამოსადეგი რესურსების ქონა, როგორიცაა მაგალითად: სანიშნები, წებოვანი ფურცლები, თაბახის ფურცლები, ბლოკნოტები ჩანახატებისთვის, კალმები, ფანქრები; პრეზენტაციების მოსამზადებლად – ფლომასტერები, ფერადი ფანქრები, მაკრატლები და სხვა. ამ

ყველაფრის გამოყენება მოსწავლეებს დაეხმარება წიგნის კითხვისას უფრო მეტი ანოტაციის გაკეთებაში.

კლუბის ინტენსიური ფუნქციონირებისთვის აუცილებელია, მოსწავლეებმა პირველი შეხვედრის დროს შეადგინონ წესები და სამოქმედო გეგმები. უფრო კონკრეტულად:

I. ნორმების დადგენა და წესების შემუშავება.

პირველად, როდესაც მოსწავლეები შეიკრიბებიან, მათ შეეძლებათ ე.წ. ნორმების დადგენა დისკუსიებისა და ჩართულობისთვის. ასევე, შეეძლებათ, შეარჩიონ ჯგუფის სახელი, დევიზი და გერბი საკუთარი იდენტობის წარმოსაჩენად.

II. წიგნების წასაკითხად განრიგის შემუშავება.

აცნობეთ მოსწავლეებს თუ რამდენ კვირას გაატარებენ წიგნის კლუბების რაუნდში და რამდენად ხშირად შეხვდებიან ისინი ერთმანეთს. კარგი იქნება, თუ მოსწავლეები სემესტრში 2-ზე მეტ წიგნს მაინც წაიკითხავენ და კითხვის ციკლს რეგულარულად გაიმეორებენ. იმისათვის, რომ დაეხმაროთ მოსწავლეებს კითხვის ტემპის შემუშავებაში და უზრუნველყოთ, რომ ყველა ერთსა და იმავე მონაკვეთზე იყოს შეჩერებული, სთხოვეთ, შეარჩიონ კონკრეტული დრო შეხვედრების ჩასატარებლად და შექმნან წიგნის კლუბის კითხვისა და



შეხვედრების განრიგი, რომელიც შემდეგ შეეძლებათ თქვენც გაგიზიარონ. გარდა ამისა, მნიშვნელოვანია განსაზღვროთ კლასში თუ კლასს გარეთ კითხვის, დისკუსიებისა და პრეზენტაციების დროის ინტერვალებიც.

წიგნის კლუბის ხელმძღვანელისთვის გასათვალისწინებელი საკითხები:

- რამდენი კვირის განმავლობაში და რამდენად ხშირად შეიკრიბებიან წიგნის კლუბები?
- როგორ გამიზიარებენ წიგნის კლუბები თავიანთ განრიგსა და წესებს?
- როგორ გადავამოწმო თუ როგორ მუშაობენ წიგნის კლუბები, როგორც შეხვედრების დროს, ასევე ინდივიდუალურ რეჟიმში?

3

წაკითხულის გააზრება

როდესაც ახალგაზრდებს შესაძლებლობა აქვთ, ერთად შეაფასონ წიგნები, შეებრძოლონ მძიმე რეალობას და რთულ კითხვებს ადამიანის ბუნების შესახებ, შეიძლება შეიცვალოს მათი გაგება საკუთარი თავის, სხვებისა და მათ გარშემო არსებული სამყაროს მიმართ. მნიშვნელოვანია, რომ ყოველი წიგნის კლუბის ციკლის შემდეგ, მოსწავლეებს შესაძლებლობა ჰქონდეთ, დაფიქრდნენ წაკითხულზე და გამოიყენონ ახალი ცოდნა. შეეცადეთ დისკუსიები უფრო აქტიური იყოს; თუ მოსწავლეები დამოუკიდებლად სათანადოდ ვერ ახერხებენ წაკითხულის გააზრებას და შეფასებას, შეგიძლიათ მიზნობრივად ჩაერთოთ დისკუსიაში და ხელი შეუწყოთ მათ პროცესის განვითარებაში.

განიხილეთ სოციალური საკითხები

წიგნის კლუბის ჯგუფები შესაძლოა დაინტერესდნენ სოციალური საკითხებით, რომელსაც მათ რომელიმე წიგნი სთავაზობს (მაგ. რასობრივი უსამართლობა, გენდერული დისკრიმინაცია, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებები, ხმის მიცემის უფლება, ლტოლვილთა კრიზისი, ადამიანის უფლებები, ბავშვთა უფლებები, იარაღით ძალადობა, უთანასწორობა შემოსავლებში, საცხოვრებელი და სასურსათო დაუცველობა, ეთიკა მეცნიერებაში და ტექნოლოგიები). ჯგუფებს შეუძლიათ გამოიკვლიონ საკითხი საზოგადოებაში, რათა უკეთ გაიგონ გამოწვევები; ასევე, გაიცნონ ინდივიდები და ორგანიზაციები, რომლებიც მუშაობენ შესაბამისი ცვლილებების განხორციელებაზე. კონკრეტულ თემაზე სასაუბროდ, მათ შეუძლიათ მოიწვიონ სპიკერი, დაწერონ სტატია სკოლის ან ადგილობრივი გაზეთისთვის; ცნობიერების ამაღლების მიზნით, უმასპინძლონ ფონდების მოზიდვის ღონისძიებას ან ერთად ჩაერთონ მოხალისეებად კლასგარეშე აქტივობებში.

დისკუსიები წიგნების გარშემო

წიგნის კლუბების შემდეგი რაუნდისთვის ან დამოუკიდებლად კითხვისადმი ინტერესის გაღრმავებისთვის, მოსწავლეებს შეუძლიათ წიგნის გარშემო სადისკუსიო ღონისძიება მოამზადონ, სადაც სხვა კლუბებსაც მოიწვევენ.

სთხოვეთ მოსწავლეებს, მოამზადონ 2-3 წუთიანი მოხსენება წიგნის შესახებ, სადაც წიგნიდან ამოიკითხავენ მოკლე მონაკვეთს (არაუმეტეს ერთი გვერდისა) ამ წიგნის პოპულარიზაციისთვის.

მიმოხილვების გამოქვეყნება

როდესაც მოსწავლეები წიგნის რეცენზიას წერენ, კრიტიკულად უნდა განიხილონ ის, რათა სწორად შეაფასონ. ამავე დროს, საკუთარი, მკითხველის პერსპექტივიდან უნდა ისაუბრონ.

განიხილეთ წიგნის მიმოხილვის კომპონენტები: მოკლე რეზიუმე, კრიტიკული არგუმენტაცია და რეკომენდაციები მკითხველისათვის. ყურადღება გაამახვილეთ კრიტიკულ შეფასებასა და არგუმენტაციაზე, რომელიც ავტორმა უნდა გააკეთოს. შემდეგ სთხოვეთ მოსწავლეებს, დაწერონ წაკითხული წიგნის რეცენზია; შესაძლოა, ასევე, წარუდგინონ ის სკოლას ან ადგილობრივ გაზეთს, ან „გამოაქვეყნონ“ თქვენს ადგილობრივ ბიბლიოთეკაში, წიგნის მიმოხილვის ბიულეტენზე.

წიგნის კლუბის ხელმძღვანელისთვის გასათვალისწინებელი საკითხები:

- თუ გავითვალისწინებ წიგნებს, რომლებსაც ჩემი მოსწავლეები კითხულობენ და ამასთან, გავითვალისწინებ მათ ინტერესებს, რა შესაძლებლობები შემიძლია შევთავაზო მათ რეალურ სამყაროში კავშირების დასამყარებლად. გარდა ამისა, წერისა და მეტყველების განვითარებაში როგორ შემიძლია მათ დავეხმარო?
- ვის შეუძლია ჩემს სკოლაში ან ადგილობრივ საზოგადოებაში მხარი დაუჭიროს კლუბებში ჩადებულ ძალისხმევას (კოლეგები, რესურსცენტრები, ბიბლიოთეკები, არაკომერციული სახის ორგანიზაციები)?
- მოსწავლეებისთვის რა სახის უნარ-ჩვევების (წერა, კითხვა, საუბარი, მოსმენა) სწავლება დამჭირდება, რათა ისინი ამოცანების შესრულებაში სრულიად ჩაერთნენ? როგორ შემიძლია ჩამოვაყალიბო მათი წინარე ცოდნა და გამოცდილება?

ასევე გასათვალისწინებელი საკითხები:

- რამდენად მზად არიან ჩემი მოსწავლეები, ხელი შეუწყონ დისკუსიებს წიგნის კლუბებში?
- კითხვისა თუ დისკუსიის რა სახის უნარები ისწავლეს მათ სამომავლო გამოყენებისთვის?
- რომელი სახელმძღვანელოები უნდა შევცვალო, რომ კონტექსტიდან არ ამოვვარდე?
- როგორ დავამყარო კომუნიკაცია ინდივიდუალურად მოსწავლეებთან და ჯგუფებთან, რათა გავიგო მათი საჭიროებების შესახებ?

4

თანმიმდევრობა სწავლების დროს



ტექსტისა და ჟანრის გაცნობა, ტექსტის ანალიზი, ენის თავისებურებები და ორგანიზება

- შთამბეჭდავი დასაწყისი;
- მთლიანი წიგნის (წიგნების) ერთობლივი კითხვა;
- ჟანრის შესწავლა ტექსტის ანალიზის საშუალებით და წაკითხულის გაგება-გააზრებით;
- ვრცელი წერითი ნაშრომისთვის შეფასების რუბრიკის შექმნა ერთობლივად.

იდეების მოძიება

- ზეპირი თხრობა;
- ტექსტზე ვიზუალური ჩანახატების გაკეთება;
- მოკლე, ფოკუსირებული წერითი დავალება – გმირის პორტრეტი, რომელიმე სცენისთვის სათაურის მოფიქრება, ფიქრის/საუბრის ღრუბლები;
- დრამა;
- მოკლე წერითი დავალება – დღიურის ჩანაწერი /წერილი/საუბრის ღრუბლები/კომიქსი/ნახატები.

წერის დაგეგმვა და პირველი ვარიანტის შექმნა

- წერის დაგეგმვა;
- ლექსიკის გასამდიდრებელი თამაშები/სიტყვების ბანკის შექმნა;
- წერის რეპეტიცია/ვარჯიში – მასწავლებელი აკეთებს დემონსტრირებას, ერთობლივი წერის პროცესი და დავალებები, რომელიც მოითხოვს დახმარებას.

წერა და შესწორება

- მართული წერის გაკვეთილები ჯგუფებთან, რათა აქცენტი გაკეთდეს ინდივიდუალურ საჭიროებებზე/მიზნებზე წიგნიერებაში;
- გახანგრძლივებული დრო წერისთვის;
- პირველი ვარიანტის შექმნა, შესწორება, შეფასება.
- ნაწერის „გამოქვეყნება“.

სწავლების ციკლის ამ ეტაპზე მოსწავლეებს უკვე უნდა შეეძლოთ:

- ამბის სწორად გადმოცემა წიგნის გამოყენების გარეშე;
- ამბის თანმიმდევრობის დალაგება მთავარი ილუსტრაციების გამოყენებით;
- ჰქონდეთ ცოდნა იმ ჟანრის თავისებურებებზე, რომელ ჟანრშიც უნდა შეასრულონ საბოლოო ვრცელი წერითი დავალება (ამბავი/წერილები/საინფორმაციო ბუკლეტი);
- ემპათიის გამოხატვა პერსონაჟების მიმართ;
- ამბის რუკის შედგენა წაკითხული წიგნის მიხედვით.

იმიტირებული სასამართლო პროცესები

იმიტირებული სასამართლო პროცესები ერთ-ერთი ყველაზე ეფექტური საშუალებაა საკლასო თუ კლასგარეშე სწავლის პროცესში მოსწავლეთა ჩართვისა და მათი მოტივაციის გაზრდისთვის. რატომ ხდება ასე? როგორც თითოეული ზრდასრული ადამიანისთვის, ისე მოზარდისთვის, ხშირ შემთხვევაში, მნიშვნელოვანია ავტორიტეტული პირებისგან დაფასებულად იგრძნონ თავი, უფრო კონკრეტულად, აზრის გამოხატვა და დაფიქსირება მათგან როგორც ენერგიას, ისე ერთგვარ შემართებასაც მოითხოვს. მოზარდი თავს უფრო სრულფასოვნად გრძნობს, როდესაც ხედავს, რომ გარშემო მყოფი საზოგადოებისთვის მისი შეხედულება რაიმე საკითხისადმი მნიშვნელოვანია.

მოსწავლეთა წიგნიერების უნარების გაძლიერებაზე როდესაც მიდის საუბარი, აუცილებელია გავიაზროთ, რომ ეს ყოველივე კრიტიკული აზროვნე-

ბისა და ზოგადი უნარების განვითარებასაც მოითხოვს. შესაბამისად, იმიტირებული სასამართლო პროცესების წარმოება მოზარდების სწავლისადმი ინტერესის გაღრმავებაში დაგვეხმარება, ამასთან, ისინი უფრო კონკურენტუნარიანებიც ხდებიან. ამ შემთხვევაში, წიგნიერებასთან დაკავშირებული იმიტირებული სასამართლო პროცესის მიმდინარეობისას, მოსწავლე აქტიურად ერთვება წაკითხული ნაწარმოების განხილვაში და ცდილობს თავისი პოზიციის მტკიცედ დაფიქსირებას.

აქტივობის მიმდინარეობისას მონაწილე მოსწავლეები ორ ჯგუფად იყოფიან – წაკითხული და განსახილველი წიგნის დამცველ და „ბრალმდებელ“ მხარეებად. დამცველი მხარე ცდილობს, წიგნის დადებითობაზე ისაუბროს და უპასუხოს კითხვას თუ რატომ ურჩევდა ამ წიგნს სხვა ადამიანებს; ხოლო, „ბრალმდებელი“ – წიგნის კრიტიკას შეეცდება და პიქირით, დაასაბუთებს, თუ რატომაა წიგნი თანატოლებისთვის შეუსაბამო.

რა? სად? როდის?

როდესაც წიგნიერების უნარებს ეხება საკითხი, კიდევ ერთი სახალისო გამოწვევა ცნობილი თამაშის „რა? სად? როდის?“ წიგნიერების უნარებზე მორგებაა.

კლასი ორ ნაწილად დავყოთ, მივცეთ მათ საშუალება უფრო თავდაჯერებულები და კონკურენტულები გახდნენ. ერთი ჯგუფი დასვამს კითხვებს წაკითხულ წიგნებთან დაკავშირებით, მეორე კი ამ კითხვებს უპასუხებს.

აუცილებელია, მოსწავლეები მხოლოდ და მხოლოდ ისეთი წიგნების შესახებ სვამდნენ კითხვებს, რომლებიც თითოეულ მათგანს წიგნის კლუბის ფარგლებში აქვს წაკითხული, რათა მათ შორის დაბნეულობა არ გამოვიწვიოთ.

სიტყვების დაფა

„სიტყვების დაფა“ მოიაზრებს აქტივობას, როდესაც მოსწავლეები ხელმძღვანელთან ერთად, წიგნის მიხედვით, სიტყვათა მარაგის გასავითარებლად, დაფაზე ან კედელზე ე.წ. „სიტყვების“ გამოფენას ქმნიან. დაფაზე მაგრდება ფურცლები თუ ბარათები, რომლებზეც მოსწავლეები წიგნებში ამოკითხულ უცხო სიტყვებს წერენ. აქტივობა მეორდება ყოველ კვირას, ხელმძღვანელი კი მოსწავლეების მიერ შეგროვებულ ახალ-ახალ სიტყვებს მათთან ერთად განიხილავს და ხსნის. მნიშვნელოვანია, ინტელექტუალური განხილვის საათის დროს, სიტყვების აქტიურად გამოყენებაც, კონკრეტულად, წინადადებების შედგენითა თუ ასოციაციების მოფიქრებით.

თავეგი გაღლა

წაკითხულის გასააზრებლად ეს აქტივობა ეფუძნება საკმაოდ პოპულარულ თამაშს, რომელსაც მოსწავლეები სავარაუდოდ უკვე შეიძლება იცნობ-

დნენ კიდეც – თამაშის სახელია „თავები მაღლა“. თქვენ გევალებათ, რომ შეადგინოთ ბარათები, სადაც ეწერება პერსონაჟების, ადგილების, საგნების სახელები კონკრეტულად იმ წიგნიდან, რომელიც ბოლოს უნდა წაეკითხათ მოსწავლეებს.

დააწყვილეთ მოსწავლეები ან გადაანაწილეთ ისინი მცირე ზომის ჯგუფებად, შემდეგ დაურიგეთ ბარათები და სთხოვეთ, შემოწმებისა თუ წაკითხვის გარეშე მიიმაგრონ ისინი შუბლზე. მოსწავლეებს ევალებათ, რომ სათითაოდ მისცენ ერთმანეთს მინიშნებები (მაგ. პერსონაჟის დახასიათება, რა აცვია პერსონაჟს, რა საქმე ეკისრება და ა.შ), რათა გამოიცნონ თუ რომელი პერსონაჟის როლს ასრულებენ ბარათის მიხედვით.

სოკრატეს გურმი

სანამ მოსწავლეებთან ერთად აქტივობის განხორციელებას დაიწყებდეთ, აიღეთ ბურთი, დაწერეთ მასზე კითხვები ბოლო წაკითხული წიგნის შესახებ ან დააკარით მასზე ფურცლები, რომლებზეც ეს კითხვები ეწერება; ამის შემდგომ, სთხოვეთ მოსწავლეებს, ბურთი მსუბუქად გადაუგდონ ერთმანეთს და რიგრიგობით უპასუხონ ბურთზე დაფიქსირებულ შეკითხვებს. თანდათანობით განიხილეთ წამოჭრილი საკითხები და ეცა-

დეთ, სრული თავისუფლება მისცეთ მოსწავლეებს საკუთარი აზრის დასაფიქსირებლად, ვინაიდან აქტივობა წიგნის კრიტიკულად გაანალიზებისთვისაა განკუთვნილი.

ვიზუალური წიგნიერება

წიგნის კლუბის მეშვეობით, ვიზუალური პერცეფციის, ინტერპრეტაციისა და აზროვნების გასავითარებლად, შეგიძლიათ სწავლის პროცესში პროექტების შემუშავების კულტურა დანერგოთ. კერძოდ, ვიზუალური წიგნიერებისა და შემოქმედებითი უნარების გაღვივებისთვის, მოსწავლეებს მიეცით საშუალება, წარმოიდგინონ და დიდ ფორმატზე გადმოიტანონ საკუთარი წარმოსახვითი სამყარო, რომელიც წიგნის კითხვისას გონებაში ააგეს. ეს შეიძლება იყოს რაიმე ადგილის „არქიტექტურული“ გეგმა, პერსონაჟების ვიზუალი, მათ ტანისამოსთან დაკავშირებული იდეები თუ სხვა. რა თქმა უნდა, მოსწავლეებს არ მოეთხოვებათ სრულყოფილად ფლობდნენ ხატვისა თუ ფერწერის უნარებს, თუმცა სხვადასხვა პროექტის ვიზუალიზაციისთვის შეუძლიათ ინტერნეტში მოძიებული ფოტოსურათებიც დაუკავშირონ ერთმანეთს და ასე შექმნან ერთი დიდი წიგნისმიერი მსოფლიო.

კომიქსები

დღესდღეობით ყველას გვსმენია სხვადასხვა სახის კომიქსების შესახებ, თუმცა, ამჟამად, ყურადღებას ვამახვილებთ კონკრეტულად, ე.წ. „მიმებზე“



(ინგლისურად – memes). ეს აქტივობა სწორედ ამ სახის კომიქსების მოფიქრებასა და შექმნაზეა ორიენტირებული – სახალისო, თანაც ინტელექტუალური ხასიათის, რომელიც ინფორმაციის აღქმასა და გავრცელებაზეა მიმართული. როგორც ყველა სხვა აქტივობა, კომიქსებიც წიგნის კლუბში წაკითხულ და განსახილველ წიგნებს შეეხება.

მოსწავლეებს ევალებათ კომიქსების შემუშავება, დაწერა, დახატვა, აწყობა ისეთი გზით, რომელიც მათთვის ადვილი და მოსახერხებელი იქნება. მნიშვნელოვანია, კომიქსები გამომდინარეობდეს წაკითხული წიგნის გარშემო გაჩენილი იდეებიდან და წარმოსახვითი სამყაროდან. ამასთან, კომიქსებმა კლუბის ხელმძღვანელს უნდა დაანახოს ის, თუ როგორ შეძლო მოსწავლემ წიგნის ამა თუ იმ პერსონაჟის ხასიათისა და ბუნების გათავისება თუ აღქმა, როგორ გააანალიზა მისი ქცევა და მიღებული გადაწყვეტილებები წიგნში მიმდინარე მოვლენების მიხედვით. საბოლოოდ კი, ამ აქტივობამ წიგნის უფრო მარტივი გზით განხილვა უნდა გამოიწვიოს.

კალმის მეგობარი

ბავშვობაში ყველას გვსმენია „კალმის მეგობრის“ შესახებ – პიროვნების, რომელსაც წერილებითა თუ ელექტრონული ფოსტის საშუალებით ვეკონტაქ-

ტებოდით ფორუმებსა თუ სხვა სახის მედია საშუალებებზე. დღესდღეობით, სოციალური მედიის არსებობით, ეს ყოველივე კიდევ უფრო გამარტივდა. თუ ადრე ვინმესთვის კორესპონდენციის ფიზიკურად გაგზავნა გვიწევდა, ახლა ამის გაკეთება ტელეფონისა და მესიჯის საშუალებით 1 წუთში შეგვიძლია.

ეს აქტივობა დროში გვაბრუნებს და მოიაზრებს მოსწავლეების მიერ წიგნის პერსონაჟისთვის რაიმე სახის კორესპონდენციის დაწერასა თუ შეთხზვას. სთხოვეთ თითოეულ მოსწავლეს, აირჩიოს ერთი პერსონაჟი მიმდინარე კვირისა თუ თვის წიგნიდან, რომელსაც მისწერს და მას „კალმის მეგობარს“ დაარქმევს. წერილში მოსწავლეს შეუძლია პერსონაჟს რაიმე სახის რჩევა თუ ამბავი გაუზიაროს, გააგებინოს, რა დამოკიდებულება აქვს მისდამი, რატომ აქვს ეს დამოკიდებულება ან თუ შეცვლიდა პერსონაჟის მიერ განხორციელებულ რაიმე ქმედებას.

გამოიცანი წიგნი

მეხსიერების შესამოწმებლად და მის გასაუმჯობესებლად, სახალისო აქტივობა წიგნის კლუბში წაკითხულ/განხილული წიგნების გამოცნობას მოიაზრებს. ეს აქტივობა ორი სახის თამაშს მოიცავს. პირველის მიხედვით, ხელმძღვანელს შეუძლია მოსწავლეები ორ გუნდად დაყოს, რის შემდეგაც ერთი

გუნდი მეორეს ხმამაღლა გაუზიარებს წიგნის სათაურის დასაწყისს, მხოლოდ და მხოლოდ სათაურის პირველ სიტყვას, ხოლო მეორე გუნდს ამ სათაურის დასრულება და მისი ავტორის გამოცნობა ევალება. მოსწავლეები სათაურებს ერთმანეთს რიგრიგობით შესთავაზებენ.

მეორე სახის აქტივობა მოიცავს გუნდების მიერ წიგნების ჩუმად, ხმის ამოუღებლად, მოქმედებებით დახასიათებას. მაგალითად, მოსწავლე რომელიმე პერსონაჟს ფიზიკურად – რაიმე სახის მოქმედებით განასახიერებს, კონკურენტ გუნდს კი წიგნის გამოცნობა ევალება. გუნდები ამ მხრივ შეეჯიბრებიან ერთმანეთს სათაურებისა და ავტორების გამოცნობაში.

თეატრი

წიგნის კლუბის უფრო სახალისო ფორმატში წარმართვას თეატრალური მოქმედებებიც ეხმარება, რომელიც მოსწავლეების უფრო აქტიურ და საინტერესო პროცესში ჩართვას მოითხოვს. აქტივობის მიზანი წიგნის კლუბში კრეატიულობისა და სოციალიზაციის გაღვივებაა.

მოსწავლეებს წყვილებში ან ჯგუფში ევალებათ, რომ წიგნის კლუბში წაკითხული და განხილული წიგნიდან მოამზადონ რომელიმე მცირე ზომის მო-

ნაკვეთი და მოქმედებაში მოიყვანონ ის – გააცოცხლონ წიგნი; გადაინაწილონ როლები და ეცადონ პერსონაჟის ხასიათს მოარგონ თავი, რათა იგი სახალისოდ განასახიერონ.

რჩევები:

- დაესწარით სხვადასხვა ფესტივალსა თუ ღონისძიებას, რომელიც წიგნებთან და ავტორებთანაა დაკავშირებული. სასურველია, თქვენც, თქვენი სკოლის ფარგლებში, დაგეგმოთ რაიმე მსგავსი, თუნდაც კონკრეტული ავტორის წიგნების შესაჯამებლად.
- დააინტერესეთ სკოლის ადმინისტრაცია წიგნის კლუბით, რათა კონკრეტული სახის რესურსები თქვენთვის ხელმისაწვდომი იყოს. როგორც ზემოთ აღინიშნა, დაფიქრდით თუ როგორ შეგიძლიათკიდევ ჩართოთ თქვენი კოლეგები კლუბების საქმიანობაში – მათთან დისკუსიების ჩატარებით, ერთად ღონისძიებების დაგეგმვით თუ სხვ.
- ითანამშრომლეთ სკოლისა თუ საზოგადოებრივ ბიბლიოთეკასთან, წიგნის გამომცემლობასთან, ორგანიზაციებთან და ა.შ.. მათაც შეუძლიათ თქვენი რესურსებით მომარაგება და დახმარება.
- წიგნის კლუბის საქმიანობით დააინტერესეთ მშობლებიც. მოსწავლეების მოტივაცია იზრდება, როდესაც მათთვის ავტორიტეტული ადამიანები ინტერესდებიან მათ მიერ განხორციელებული აქტივობებით. სთხოვეთ მშობლებს, მათი გრაფიკის მიხედვით, ეცადონ ჩაერთონ წიგნის კლუბის დისკუსიებში.

- **ზემოთ განხილული საკითხებიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანია, გავიაზროთ წიგნის კლუბების მნიშვნელობა. შესაბამისად, წიგნიერების დონის ამაღლების მიზნით, დავიწყოთ წიგნის კლუბებით მუდმივად სარგებლობა!**

მომდევნო გვერდებზე იხილავთ რამდენიმე დანართს.

- პირველი დანართი – „დამხმარე კითხვები“ გთავაზობთ დამხმარე კითხვებს წიგნის კლუბში დისკუსიების წამოწყებისთვის. სასურველია, მოსწავლეებს, დისკუსიების მიმდინარეობისას, საუბარში არ ჩაეჭრათ და ეცადოთ, მათ კითხვები მხოლოდ საჭიროების შემთხვევაში დაუსვათ.
- მეორე დანართი – „წიგნების სია“ მოსწავლეთა ასაკისა და მათი საფეხურის შესაბამისად შესარჩევი წიგნების სიას გთავაზობთ.
- მესამე დანართი – „წაკითხული წიგნები“ მოსწავლეები სისტემატურად აწარმოებენ წაკითხული წიგნების სიას, რათა განისაზღვროს თუ ვინ რომელ წიგნს კითხულობს და კლუბებს შორის რომელ ჯგუფს მიეკუთვნება; ამასთან, სემესტრის/წლის ბოლოს განისაზღვროს რამდენი წიგნის წაკითხვა მოახერხა თითოეულმა მოსწავლემ და როგორ აქტიურობს იგი წიგნის კლუბში. სიაში გამოყოფილია გრაფები წიგნის სათაურისთვის, ავტორისთვის, გვერდების რაოდენობისთვის და კონკრეტული გვერდების წაკითხვისას გამოკვეთილი კომენტარის მისათითებლად. ამასთან, ცალკე გრაფაა გამოყოფილი მშობლის ხელმოწერისთვის. მისი გამოყენებაც, ასევე, თქვენი არჩევანია. ეს გრაფა მოიაზრებს მოსწავლეების მიერ სახლში წაკითხული წიგნის მონიტორინგს. მშობელი ხელმოწერით ადასტურებს მოსწავლის მიერ სახლში წიგნის წაკითხვას. შემდეგ მასწავლებელი, ასევე ხელმოწერით, ადასტურებს სიის ჩაბარებას.
- მეოთხე დანართი – „შერჩეული წიგნები“ გამოიყენება წიგნების სიის საწარმოებლად, სადაც ჩაწერთ შერჩეულ წიგნებს, ხოლო ჯგუფების მიერ თითოეული წიგნის დასრულების შემდგომ, მონიშნავთ მათ სათითაოდ. ასეთი ხერხით, სემესტრისა თუ წლის ბოლოს გეცოდინებათ, რომელი წიგნი განიხილეთ ჯგუფებში მოსწავლეებთან ერთად.
- მეხუთე დანართი – „მოსწავლის შესახებ ინფორმაცია“ შეგიძლიათ გამოიყენოთ წიგნის კლუბში მონაწილე მოსწავლეების შესახებ ინფორმაციის შესაგროვებლად.

დამხმარე კითხვები

- ყველაზე მეტად რამ დაგაინტერესათ წიგნის პირველ თავებში? რამ მოგანდომათ წიგნის წაკითხვა?
- წიგნში ყველაზე მეტად რა მოგეწონათ? რა მოგეწონათ ყველაზე ნაკლებად?
- რა მნიშვნელობის მატარებელია წიგნის სათაური? მიგაჩნიათ თუ არა იგი მნიშვნელოვნად? რატომ? რატომ არა?
- ვინ არის მოთხრობის მთავარი პერსონაჟი? მოგწონთ თუ არა იგი? შეცვლიდით თუ არა რაიმეს მასში? იმსჯელეთ.
- ვინ არის ამბის მთხრობელი?
- სად მიმდინარეობს მოქმედება წიგნში? მასში არსებული ადგილებიდან, რომელი ადგილის მონახულება გსურთ ყველაზე მეტად და რატომ?
- შეადარებდით თუ არა მას რომელიმე სხვა წიგნს?
- ამ ავტორის სხვა წიგნები თუ გაქვთ წაკითხული? როგორ შეაფასებდით ამ წიგნს, მის სხვა ნამუშევრებთან შედარებით?
- რომელი ჟანრი (ჟანრები) შეეფერება ყველაზე მეტად ამ წიგნს?
- როგორ ფიქრობთ, რა იყო ავტორის მიზანი? რა იდეების ილუსტრირებას ცდილობს ის?
- რომელ პერსონაჟს მიამსგავსებდით საკუთარ თავს?
- რომელი იყო თქვენი საყვარელი პერსონაჟი? რატომ?
- რომ შეგეძლოთ, რომელ პერსონაჟს შეხვდებოდით რეალურ ცხოვრებაში? რა კითხვებს დაუსვამდით მას?
- რომელი იყო თქვენი საყვარელი თავი და რატომ?
- როგორ შეადარებდით წიგნში არსებულ გარემოებებსა და დროის პერიოდს რეალურ გარემოსთან და დღევანდელობასთან?
- რა იყო გაუგებარი ამ წიგნში? განვიხილოთ.
- როგორ მოგეწონათ წიგნის დასასრული? შეცვლიდით თუ არა მას?
- გთხოვთ, რამდენიმე სიტყვით შეაჯამოთ წიგნი.
- ურჩევდით თუ არა ამ წიგნის წაკითხვას სხვა ადამიანს? ვის? რატომ? რატომ არა?
- გააკეთეთ მცირე რეცენზია. ისაუბრეთ წიგნის გარშემო თქვენთვის სასურველ სხვადასხვა საკითხზე.

ჩექმებიანი კატა
და სხვა ზღაპრები
I
კლასი

ჰერაკლე
უძლიერესი ადამიანი დედამიწაზე
და სხვა ბერძნული მითები
I
კლასი


ჯეიმზ ბოლდუინი
მსოფლიოში განთქმული
ამბები
I
კლასი


II-III
კლასი
IV-V
კლასი
VI-VII
კლასი
VIII-IX
კლასი
X+
კლასი

ალექსეი ტოლსტოი
ოქროს გასაღები, ანუ
ბურატინოს თავგადასავალი
II-III
კლასი

ძმები გრიმები
ზღაპრები
II-III
კლასი


ვინი პუჰის
თავგადასავლები
II-III
კლასი


კენეთ გრემი
ქარი ტირიფებში
II-III
კლასი

იაკობ გოგებაშვილი

შვლის ნუკრის ნაამბობი
და სხვა მოთხრობები
„ვაჟა-ფშაველა

თამრი ფხაკაძე
ბებე
მაწანწალების
უფლისწული

Disney
დისნეის კლასიკური ზღაპრები
ჯუნგლის
წიგნი

ჩარლზ დიკენსი
საშობაო სიმღერა
IV-V
კლასი

მაია ლუნდე
თოვლის და
IV-V
კლასი


ანა სიუელი
ლამაზი შავრა
IV-V
კლასი

ედით ნესბიტი
რკინიგზის ბავშვები
IV-V
კლასი


მარიამ წიკლაური
ჩემი აფრიკელი ბებია
ილუსტრატორი
ირინა ცინცაძე

გოდერძი ჩოხელი
მოთხრობები

დევიდ უოლიამსი
შუალამის ბანდა

DreamWorks -ის ახალი ანიმაცია
როგორ მოვაჯაჭვოთ
დრაკონი
კრესიდა კოუელი

კრესიდა კოუელი
როგორ მოვაჯაჭვოთ
დრაკონი


კრესიდა კოუელი
როგორ მოვაჯაჭვოთ
დრაკონი


ბოლოს ორივე კვდება
THEY BOTH DIE AT THE END
ადამ სილვერა
ADAM SILVERA

ყველა ბიჭს, რომელიც მიყვარდა
ჯენი ჰანი
NETFLIX


სარა ჯ. მაასი
ნისლისა და მრისხანების სამეფო
Sarah J. Maas
A COURT OF MIST AND FURY
ფენი თამაშის არჩევანი

Sarah J. Maas
A COURT OF THORNS AND ROSES
ეკლოვნებისა და ვარდოვნების სამეფო
ფენი თამაშის არჩევანი


THE MAZE RUNNER
ფენი თამაშის არჩევანი
ლაბირინთში მორბენალი
ჯეიმზ დაშნერი


FIVE FEET APART
Rachael Lippincott
Mikki Daughtry
Tobias Iaconis
ოჰი ნაბიჯი შენამდე
ფენი თამაშის არჩევანი
რეიჩელ ლიპინკოტი
მიკი დოტრრიმა და ტობიას იაკონისთან ერთად


ფენ ჩემპიონი ხარ
მარკუს რაშფორდი
ფენ ჩემპიონი ხარ


GRISHAVERSE
ლი ბარდუგო
ჩრდილი და ძვალი
ფენი თამაშის არჩევანი
NETFLIX
ნეტფლიქსის ეკრანიზაცია

ფენი თამაშის არჩევანი
GRISHAVERSE
ლი ბარდუგო
უკუღმართი სამეფო
NETFLIX
ნეტფლიქსის ეკრანიზაცია


რეიჩელ ლიპინკოტი და მიკი დოტრი
ფენი თამაშის არჩევანი
ამ ცხოვრებაში


ფენი თამაშის არჩევანი
მეფის მკვლელი
ალექსანდრე ყაზბეგი
VIII-IX
კლასი

ფანი თაობის
არჩევანი
THE BOOK THIEF
Markus Zusak
წიგნის
ქურდი
მარკუს ზუზაკი


საპიქრი
მედლინ რუ
ფანი თაობის
არჩევანი
ASYLUM
MADELEINE ROUX

ლი ბარდუგო
ფანი თაობის
არჩევანი
ყვავების
ექსელული
NETFLIX

წაკითხული წიგნები

* ხაზზე იწერება მოსწავლის სახელი, გვარი და ჯგუფის ნომერი.

წიგნის სათაური	ავტორი	კომენტარი	გვერდების რაოდენობა	მშობლისა და მასწავლებლის ხელმოწერა
1.				
2.				
3.				
4.				
5.				
6.				
7.				
8.				
9.				
10.				

შეარჩეული წიგნები
☐
☐
☐
☐
☐
☐
☐
☐
☐
☐
☐
☐
☐
☐
☐
☐
☐
☐

მოსწავლის შესახებ ინფორმაცია
სახელი, გვარი; ჯგუფი
ტელეფონი
ელ. ფოსტა
სახელი, გვარი; ჯგუფი
სახელი, გვარი; ჯგუფი
ტელეფონი
ელ. ფოსტა
სახელი, გვარი; ჯგუფი
სახელი, გვარი; ჯგუფი
ტელეფონი
ელ. ფოსტა
სახელი, გვარი; ჯგუფი

WWW.TPDC.GE